

შპს „რუსთავის წყალი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა.....	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	17
6. ძირითადი საშუალებები.....	19
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	20
8. კაპიტალი	21
9. ნასესხები სახსრები.....	22
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	22
11. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.....	22
12. შემოსავალი წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან.....	24
13. პროფესიული გასამრჯელო	24
14. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	24
15. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	24
16. პირობითი ვალდებულებები	25
17. ფინანსური ინსტრუმენტები.....	25
18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	27
19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რუსთავი წყლის“ ხელმძღვანელობასა და მშობელ კომპანიას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რუსთავის წყლის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატყემადად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2019 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მშობელი კომპანია პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

მშობელ კომპანიას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



ალექსი ლოზა

შპს „იუაის“ სახელით

2020 წლის 27 მაისი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)*	2018 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	21,415	19,438
სხვა გრძელვადიანი აქტივები		431	233
სულ გრძელვადიანი აქტივები		21,846	19,671
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		463	540
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	1,269	1,940
მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდა		-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		22	18
გადახდილი ავანსები		114	22
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	17	2,219	920
სულ მიმდინარე აქტივები		4,087	3,440
სულ აქტივები		25,933	23,111
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	566	566
გაუნაწილებელი მოგება		3,643	3,290
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		35	35
სულ კაპიტალი		4,244	3,891
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	12,837	12,761
გადავადებული შემოსავალი	11	993	1,065
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,830	13,826
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	9	1,961	971
მიღებული ავანსები	11	226	261
სავაჭრო და სხვა დავალიანება	10	5,316	3,722
გადავადებული შემოსავალი	11	356	327
სხვა საგადასახადო დავალიანება		-	113
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,859	5,394
სულ ვალდებულებები		21,689	19,220
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		25,933	23,111

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი მოიცავენ მე-4 შენიშვნაში აღწერილ საღირსეზო პოლიტიკაში შესული ცვლილების მიხედვით ასახულ კორექტირებებს.

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 27 მაისს:

ირაკლი ბაბუხაძე
გენერალური დირექტორი

გიორგი გურუშვიდი
ფინანსური დირექტორი
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019	2018 (გადაანგარიშებული)*
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	12	13,004	12,781
სხვა შემოსავალი		12	16
სულ შემოსავალი		13,016	12,797
ელექტროენერგიის და გადამცემის ხარჯები		(4,559)	(5,382)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	7	(1,176)	(779)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(957)	(1,035)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(238)	(232)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(214)	(294)
პროფესიული გასამრჯელო	13	(207)	(349)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(168)	(171)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(106)	(105)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1,710)	(1,819)
სხვა შემოსავალი		57	205
		(9,278)	(9,961)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		3,738	2,836
საპროცენტო შემოსავალი		18	32
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(1,833)	(714)
წმინდა საკურსო (ზარალი)/შემოსულობა		(2)	3
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,568)	(1,424)
არარეგულარული ხარჯები		-	(87)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		353	646
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		353	646
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		353	646

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი მოიცავენ მე-4 შენიშვნაში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკაში და რეკლასიფიკაციებში შესული ცვლილებების მიხედვით ასახულ კორექტირებებს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,566	496	4,978	14,040
ფასს (IFRS) 9-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	–	(404)	–	(404)
ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში (მე-4 შენიშვნა)	–	2,552	(4,943)	(2,391)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული*)	8,566	2,644	35	11,245
წლის მოგება (გადაანგარიშებული) (მე-4 შენიშვნა)	–	646	–	646
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	646	–	646
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-8 შენიშვნა)	(8,000)	–	–	(8,000)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)*	566	3,290	35	3,891
წლის მოგება	–	353	–	353
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	353	–	353
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	566	3,643	35	4,244

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2019	2018 (გადაანგარიშებული)*
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		353	646
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	1,568	1,424
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	7	1,176	779
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული წმინდა ზარალი		42	50
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული შემოსულობა		-	(4)
წმინდა საკურსო ზარალი/(შემოსულობა)		2	(3)
საპროცენტო შემოსავალი		(18)	(32)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	1,833	714
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილება</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		18	78
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(505)	(1,672)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		(4)	533
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(92)	210
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		1,551	839
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში - მოკლევადიანი წილი		29	27
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(35)	38
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		(113)	(197)
ფუნქციონირებადი ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილების შემდეგ		5,805	3,430
მიღებული პროცენტი		18	32
გადახდილი პროცენტი		(590)	(602)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	54
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში - გრძელვადიანი წილი		(72)	(57)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		5,161	2,857
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3,488)	(5,521)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,488)	(5,521)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ამონაგები სესხებიდან	9	-	10,500
ნასესხები სახსრების დაფარვა	9	(367)	(563)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	8	-	(8,000)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(367)	1,937
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(7)	(6)
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		1,299	(733)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	17	920	1,653
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	2,219	920

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ისინი მოიცავენ მე-4 შენიშვნაში აღწერილ სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილების მიხედვით ასახულ კორექტირებებს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „რუსთავის წყალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 31 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რუსთავის რაიონული სასამართლოს მიერ.

შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზსა“ (ყოფილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ბი-ვი-აი“) და საქართველოს მთავრობას შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული (2009 წლის 22 დეკემბერს შეცვლილი) წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოხდა კომპანიის პრივატიზება და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზმა“ შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი, რომელსაც იმ დროისთვის ფლობდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ რუსთავისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, წმინდა ნინოს ქუჩა №5.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების მფლობელია შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“ („მშობელი კომპანია“), რომელიც სს „ჯორჯია კაპიტალის“ 100%-იან მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანიაა, რომლის საბოლოო მშობელი კომპანიაა გაერთიანებულ სამეფოში ფუნქციონირებადი „Georgia Capital PLC“ (GCAP).

2018 წლის 29 მაისს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაასრულა მისი ბიზნეს საქმიანობების - ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საბანკო მიმართულებად („საბანკო საქმიანობა“) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფად“ და ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საინვესტიციო მიმართულებად („საინვესტიციო საქმიანობა“) - „ჯორჯია კაპიტალად“ დაიყოფიდა. შედეგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახდა.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ („GWP“ ან „მმართველი კომპანია“), მშობელი კომპანიის 100%-იანი შვილობილი კომპანია, მართვის სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაძლიერებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება, როგორც არის გლობალური COVID-19-ის მიერ გამოწვეული ეკონომიკური განუსაზღვრელობა (მე-19 შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის („ბასის“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის ანგარიშგებისთვის.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი მიმდინარე ვალდებულებებმა 3,772 ლარით გადაჭარბა მის მთლიან მიმდინარე აქტივებს. კომპანია დამოკიდებულია მშობელი კომპანიის და მმართველი კომპანიის დახმარებაზე. ხელმძღვანელობამ მშობელ და მმართველ კომპანიასთან მოლაპარაკებები აწარმოა, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიისთვის საკმარისი ფულადი სახსრების გამოყოფაზე, რომ მას საშუალებას მისცეს უწყვეტ რეჟიმში გააგრძელოს ჩვეულებრივი საქმიანობა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების საფუძველი გულისხმობს, რომ კომპანია აპირებს მისი ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას 12 თვის განმავლობაში, მშობელი და მმართველი კომპანიების დახმარებით და რომ ორივე მათგანს აქვს ფინანსური შესაძლებლობა და განზრახვა კომპანიას გაუწიოს დახმარება საჭიროების შემთხვევაში, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და დაფაროს მისი ვალდებულებები ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2019 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს (IFRS) 16 არ აქვს გავლენა იმ იჯარებზე, რომელშიც კომპანია მეიჯარეა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 16 იჯარები, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“;
- ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: „გემის შეცვლა, შეკვეცა ან საბოლოო ანგარიშსწორება“;
- ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში: „გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საწარმოებში“;
- ფასს-ის წლიური გაუმჯობესება – 2015-2017 წ.წ. ციკლი: ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“, ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი საქმიანობა“, ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“, ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია არაფინანსურ აქტივებს, მაგ. საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-17 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან მისი მიყიდვით ბაზრის სხვა მონაწილისათვის, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო - და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეში შესული აქტივების სამართლიანი ღირებულება შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას, თუ ხელმისაწვდომი გახდება შესაბამისი განსაზღვრადი გარიგებები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში განმეორებად საფუძველზე სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. კომპანია განსაზღვრავს ჰქონდა თუ არა ადგილი იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით.

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემოზღუდვა.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია მარეგულირებელს - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას (სემეკი) – წარუდგინოს განცხადება სამ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანების აღიარების შეწყვეტაზე. თუ სემეკი დაამტკიცებს ასეთ განცხადებას, კომპანია ვალდებულია, შეწყვიტოს დებიტორული დავალიანების აღიარება კანონის მიხედვით. მე-10 შენიშვნაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან და ჩამოწერასთან მიმართებაში გამოყენებული შეფასებების და მსჯელობების შესახებ.

რესტრუქტურული დებიტორული დავალიანებები

რესტრუქტურული დებიტორული დავალიანებები მოიცავს იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა და რომელთა პირობებიც გადახდილი იქნა. რესტრუქტურიზაციას ექვემდებარება მხოლოდ წყალმომარაგების მომსახურებებთან და უკანონო მიერთებების ჯარიმებთან დაკავშირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებები. რესტრუქტურიზაცია გამოწვეულია კომპანიის კონტრაქტის ფინანსური სირთულეებით და ის მიიჩნევა თავდაპირველი ფინანსური აქტივის მოდიფიკაციად, ასევე სხვაობად შესაბამის საბალანსო ღირებულებაში, რომელიც დაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და აღიარდება მოგება-ზარალში მოდიფიცირებული შემოსულობის ან ზარალის სახით.

მას შემდეგ, რაც მოხდება პირობებზე ხელახლა შეთანხმება, დებიტორული შემოსულობა აღარ მიიჩნევა ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურული დებიტორული დავალიანებების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. განმეორებით შეთანხმებული დებიტორული დავალიანებები რჩება გაუფასურების შეფასების საგნად სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების სახით, ზემოთ აღწერილი ფორმით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე 'ტრანზიტული' ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს სისტემების ქსელს, რომელიც შედგება ნედლი წყლის მილსადენებისგან, მთავარი და საკანალიზაციო მიწისქვეშა მიწისქვეშა და ამოტუმბული ნედლი წყლის შესანახი რეზერვუარებისგან და სალექი მილსადენებისგან. საინვესტიციო დანახარჯი ინფრასტრუქტურულ აქტივებზე, რომლებიც უკავშირდება ქსელის გამტარუნარიანობის ზრდას ან ქსელის გაფართოებას და აქტივის შეცვლას ქსელის საოპერაციო შესაძლებლობების შენარჩუნების მიზნით, განიხილება დამატებად და თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აღმოგვსევს საბაზისო აქტივებს, აღირიცხება საოპერაციო ხარჯად.

კომპანია ფლობს უძრავ ქონებას, რომელიც ძირითადად შედგება ადმინისტრაციული შენობებისა და საოპერაციო ობიექტებისგან.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)***ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში*

2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითად საშუალებებთან მიმართებაში. კომპანიამ გამოიყენა თვითღირებულების მოდელი, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, კომპანია იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც ძირითადი საშუალებები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. კომპანიის აზრით, თვითღირებულების მოდელი ინფორმაციას უფრო საიმედოდ და ამომწურავად აწვდის მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ის აძლიერებს მომხმარებელთა შედარებადი შედარებადობას, რადგან თვითღირებულების მოდელის გამოყენება ბაზრის პრაქტიკას წარმოადგენს კომუნალურ მრეწველობაში და ის უფრო მჭიდროდ ერგება ბუღალტრულ აღრიცხვას ამ აქტივების კატეგორიასთან დაკავშირებული ბიზნეს საქმიანობებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღირიცხა რეტროსპექტულად, თვითღირებულების მოდელი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლის გადასაანგარიშებლად წინა პერიოდებისთვის, შემდეგი სახით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018 წლის 1 იანვარი		
	ადრე ანგარიშგებული ფორმით	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	17,425	(2,369)	15,056
სხვა გრძელვადიანი აქტივები	487	(22)	465
სულ გრძელვადიანი აქტივები	17,912	(2,391)	15,521
სულ აქტივები	22,067	(2,391)	19,676
კაპიტალი:			
გაუნაწილებელი მოგება ¹	92	2,552	2,644
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4,978	(4,943)	35
სულ კაპიტალი	13,636	(2,391)	11,245

¹ გაუნაწილებელი მოგების ნაშთი მოიცავს ფასს (IFRS) 9-ის მიღების ეფექტს 404 ლარის ოდენობით.

	2018 წლის 31 დეკემბერი		
	ადრე ანგარიშგებული ფორმით	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	21,525	(2,087)	19,438
სხვა გრძელვადიანი აქტივები	255	(22)	233
სულ გრძელვადიანი აქტივები	21,780	(2,109)	19,671
სულ აქტივები	25,220	(2,109)	23,111
კაპიტალი:			
გაუნაწილებელი მოგება	456	2,834	3,290
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	4,978	(4,943)	35
სულ კაპიტალი	6,000	(2,109)	3,891

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2018		
	ადრე ანგარიშგებული ფორმით	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული წმინდა ზარალი	(39)	(11)	(50)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)	2,847	(11)	2,836
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,653)	229	(1,424)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(778)	64	(714)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე	364	282	646
წლის მოგება	364	282	646
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა	364	282	646

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018		
	ადრე ანგარიშგებული ფორმით	ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში	გადაანგარიშებული
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	364	282	646
ცვეთა და ამორტიზაცია	1,653	(229)	1,424
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული წმინდა ზარალი	39	11	50
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	778	(64)	714
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	2,857	-	2,857

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შემდეგ ძირითადი საშუალებების ყველა კატეგორია აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო გამოყენების ვადებია:

	სასარგებლო გამოყენების ვადები
უძრავი ქონება	60 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	8-45 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია აქტივის გასხვისებიდან მიიღება, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება წყლის ზენორმატიული დანაკარგები. სემეკის მიერ გამოქვეყნებული რეგულაციის მიხედვით, ნორმატიული დანაკარგების ზღვარი გაიზარდა და ამიტომ კომპანია არ მოელის შესაბამისი გადასახადების დაკისრებას. ამგვარი გარიგებების დაბეგრვა არ შეესაბამება *ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“* მოთხოვნებს და ის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც არარეგულარული ხარჯი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ღირებულება მოიცავს უშუალოდ მასალებისა და, შესაბამის შემთხვევებში, შრომის პირდაპირ დანახარჯებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა მარაგების მათ ამჟამინდელ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მისაყვანად. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ.

თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფული ბანკში მოიცავს მიმდინარე ანაბრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (საწესდებო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ შემთხვევაში, თუ ის კომპანიის მფლობელებმა შეიტანეს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯს, რომელიც დაანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისეთი აქტივის შეძენისთვის ან მშენებლობისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის თვითღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება კაპიტალიზაციას, განისაზღვრება, როგორც ამ კონკრეტულ სესხთან დაკავშირებით ქონების მშენებლობის ფაზაში ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს-ში და კომპანია განსაზღვრავს მას, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და ის მიიღება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, დაფინანსების ხარჯები, წმინდა საკუროსო ზარალი და არარეგულარული ხარჯები.

არარეგულარული ხარჯები

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათის შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

ურთიერთგაქცევა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქცეება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქცევის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქცევა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით ან უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სხვა ოპერაციებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც წმინდა საკურსო შემოსულობა ან ზარალი.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. ქვემოთ მოცემული კონკრეტული პრინციპები ასევე გამოიყენება კომპანიის შემოსავლების მთავარ კლასებთან მიმართებაში:

შემოსავალი წყალმომარაგებიდან

შემოსავალი წყალმომარაგებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში მომხმარებლისთვის წყლის მიწოდების ერთი შესასრულებელი მოვალეობის დაკმაყოფილებისას. მომხმარებლებზე აღრიცხული თანხები მოიცავს წყალმომარაგების საფასურს, ასევე მიერთების და წყლის მრიცხველების მონტაჟის ღირებულებას, შემდეგი სახით.

შემოსავალი იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება კომერციულ მომხმარებლებს, წლის მრიცხველით აღრიცხული და მოსალოდნელი მოხმარების საფუძველზე, ასევე მიწოდებული წყლის ერთი ერთეულის მომსახურების შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. მრიცხველის წაკითხვა ციკლურად ხორციელდება და კომპანია დაურიცხავი თანხებისთვის შემოსავლის აღიარებას ახორციელებს ბოლო გადასახადიდან ფინანსური წლის ბოლომდე განსაზღვრული სავარაუდო მოხმარების საფუძველზე.

შემოსავალი მოსახლეობის ყველა ფენის წყალმომარაგებიდან მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს მოხმარებული წყლის მოცულობის საფუძველზე (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) და მიწოდებული წყლის თითოეული ერთეულისთვის განსაზღვრული შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. არაგამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ერთ მისამართზე რეგისტრირებული მაცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით, თვეში ერთ სულ მოსახლეზე დადგენილი ტარიფის გამოყენებით.

წყლის მრიცხველების მონტაჟის ღირებულება მოიცავს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე აღრიცხულ თანხებს სემეკი-ს წესების საფუძველზე. ასეთი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასრულებელი მოვალეობა დაკმაყოფილდება დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კომპანია შესაბამის მომხმარებელს მიაწვდის წყალს, ხოლო შემოსავალი აღიარდება მომსახურების პერიოდის განმავლობაში. მრიცხველების მოსალოდნელი მომსახურების პერიოდად განსაზღვრულია 10 წელი. შემოსავალი აღიარდება შესაბამისი დროის განმავლობაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

მიერთების მომსახურების ღირებულება მოიცავს მომხმარებლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებისთვის და მათთვის წყალმომარაგებაზე წვდომის მინიჭებისთვის წინასწარ დარიცხულ არადაბრუნებად თანხებს. მიერთების ღირებულება აღიარდება შემოსავლად წყალმომარაგებიდან დროთა განმავლობაში, შესაბამისი მომხმარებლისთვის წყლის მიწოდების შესასრულებელი მოვალეობის შესრულებასთან ერთად, წყლის მრიცხველების მუშაობის პერიოდში.

2019 წელს კომპანიამ შეცვალა მიერთებისა და წყლის მრიცხველების სამონტაჟო მომსახურებების ღირებულების წარდგენის წესი და ისინი აღრიცხა წყალმომარაგებიდან და შესაბამისი მომსახურებებიდან მიღებულ შემოსავალში, რადგან კომპანიის აზრით ამგვარი წარდგენა შეესაბამება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე შესასრულებელი მოვალეობის ხასიათს. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის შედარებადი ანგარიშგება შეიცვალა მიმდინარე პერიოდის კლასიფიკაციასთან მოსარგებლად, შემდეგი სახით:

	2018		
	ადრე ანგარიშგებული ფორმით	ცვლილებები წარდგენაში	რეკლასიფიკაციის შემდეგ
შემოსავალი წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	12,471	310	12,781
სხვა შემოსავალი	326	(310)	16

შემოსავალი ქსელთან უკანონო მიერთების მომსახურებისთვის დაკისრებული ჯარიმებიდან

შემოსავალი ქსელთან უკანონო მიერთების მომსახურებისთვის დაკისრებული ჯარიმებიდან მოიცავს იძულებითი აღსრულების საქმიანობებით გამოვლენილი ქსელთან მიერთებისთვის კლიენტებზე დარიცხულ ჯარიმებს. აღრიცხული თანხები განისაზღვრება სემეკი-ს მიერ დადგენილი შესაბამისი ტარიფების საფუძველზე. შემოსავალი ქსელთან უკანონო მიერთების მომსახურებისთვის დაკისრებული ჯარიმებიდან შესულია სხვა შემოსავალში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელო სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, ამგვარი აქტივი აკმაყოფილებს გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა მოცემულია ქვემოთ:

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: საქმიანობის განსაზღვრა
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: ტერმინის „არსებითი“ განმარტება
- ფასს (IFRS) 9, ბასს (IAS) 39 და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება – საპროცენტო განაკვეთის შედარების რეფორმა
- ბასს (IAS) 1-ის ცვლილება „ვალდებულებების კლასიფიკაცია“.

მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ახალ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

ძირითადი საშუალებების შეფასება

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობით ცვლილებასთან ერთად (მე-4 შენიშვნა), კომპანიამ ჩაატარა მისი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი და აღიარა გაუფასურება 2,442 ლარის ოდენობით.

კომპანია რეგულარულად ატარებს გაუფასურების ნიშნების არსებობის ანალიზს, ბასს (IAS) 36-ის (*აქტივების გაუფასურება*) შესაბამისად. კომპანიამ შეაფასა გაუფასურების და აღდგენის მაჩვენებლები და დაასკვნა, რომ 2019 და 2018 წლებში ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურების და ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ნიშნები არ არსებობს.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კომპანიამ ჩაატარა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან აღდგენის ინდიკატორების ანალიზი. ხელმძღვანელობას არ აღმოუჩენია ძირითადი საშუალებების გაუფასურების ან ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ინდიკატორები. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების ანაზღაურებადი თანხის შეფასება, ასევე შემდგომი შეფასება იმისა, არსებობს თუ არა გაუფასურება ან ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენა, საჭიროებს მნიშვნელოვან მსჯელობას შესაბამისი დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრის და მისი შემდგომი ცვლილებების შესაფასებლად, წყალმომარაგების ტარიფებთან მიმართებაში არსებული მოლოდინების შემუშავებას, რომლებიც გამოიყენება შემდგომ პერიოდებთან (მათ შორის დაშვებები კონკრეტული კაპიტალისა და საოპერაციო დანახარჯების, ასევე კაპიტალის მარეგულირებელ საშუალო შეწონილ ხარჯის ჩათვლით), მიწოდებული წყლის მოსალოდნელ მოცულობასთან და საპროგნოზო საოპერაციო დანახარჯებთან, ასევე ტექნიკური მომსახურების კაპიტალურ დანახარჯებთან და სხვა შესაბამის გაუფასურებისა და აღდგენის ინდიკატორებთან მიმართებაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება. ახალი შემოსვლების სასარგებლო მომსახურების ვადები დგინდება სემეკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანიამ გამოიყენა სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების გამარტივებული მეთოდი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღების შესაძლებლობის შეფასებას. კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფებულია თითოეული კონტრაქტის შემოსავლის კლასების, ვადაგადაცილებული დღეების და აქტიური/პასიური სტატუსის მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ასეთი აქტივების ჯგუფების სამომავლო ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად, რადგან მიანიშნებს დებიტორის უნარზე, გადაიხადოს დავალიანება სრულად შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების თანახმად.

თითოეულ ანგარიშგების თარიღში, ახლდება წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები მომავალზე ორიენტირებულ შეფასებებში. წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთების, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანაფარდობის შეფასება მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა მგრძნობიარეა ვითარებების და, იშვიათ შემთხვევაში, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების ცვლილებების მიმართ. კომპანიის საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილება და საპროგნოზო ეკონომიკური პირობები შესაძლოა ასევე არ იყოს მომავალში კლიენტის ფაქტიური დეფოლტირების განმსაზღვრელი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებით აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეადგენდა 4,358 ლარს (2018 წ.: 3,358 ლარი) (მე-11 შენიშვნა).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2019 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	სატრან- სპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვი- ლობა და ინვენტარი	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბერი							
(გადაანგარიშებული)	2	622	32,797	2,746	380	2,009	38,556
შესყიდვები	-	-	509	84	7	2,964	3,564
გასვლები	-	-	-	(97)	-	-	(97)
გადატანები	-	452	2,737	211	29	(3,429)	-
2019 წლის 31 დეკემბერი	2	1,074	36,043	2,944	416	1,544	42,023
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება							
2018 წლის 31 დეკემბერი							
(გადაანგარიშებული)	-	355	17,654	894	215	-	19,118
ცვეთის დანარიცხი	-	21	1,260	231	40	-	1,552
გასვლები	-	-	-	(62)	-	-	(62)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	376	18,914	1,063	255	-	20,608
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 31 დეკემბერი	2	267	15,143	1,852	165	2,009	19,438
(გადაანგარიშებული)	2	698	17,129	1,881	161	1,544	21,415
2019 წლის 31 დეკემბერი	2	698	17,129	1,881	161	1,544	21,415

2018 წლის წელს ძირითად საშუალებებში შემდეგი მოძრაობები (გადაანგარიშებული) დაფიქსირდა (მე-4 შენიშვნა):

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	სატრან- სპორტო საშუალებები	საოფისე აღჭურვი- ლობა და ინვენტარი	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება							
2018 წლის 1 იანვარი							
(გადაანგარიშებული)	2	608	27,497	2,698	310	1,669	32,784
შესყიდვები	-	1	136	21	5	5,648	5,811
გასვლები	-	-	(39)	-	-	-	(39)
გადატანები	-	13	5,203	27	65	(5,308)	-
2018 წლის 31 დეკემბერი	2	622	32,797	2,746	380	2,009	38,556
(გადაანგარიშებული)	2	622	32,797	2,746	380	2,009	38,556
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება							
2018 წლის 1 იანვარი							
(გადაანგარიშებული)	-	334	16,551	667	176	-	17,728
ცვეთის დანარიცხი	-	21	1,103	227	39	-	1,390
2018 წლის 31 დეკემბერი	-	355	17,654	894	215	-	19,118
(გადაანგარიშებული)	-	355	17,654	894	215	-	19,118
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2018 წლის 1 იანვარი	2	274	10,946	2,031	134	1,669	15,056
(გადაანგარიშებული)	2	274	10,946	2,031	134	1,669	15,056
2018 წლის 31 დეკემბერი	2	267	15,143	1,852	165	2,009	19,438
(გადაანგარიშებული)	2	267	15,143	1,852	165	2,009	19,438

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე		
მოსახლეობის დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	4,007	3,602
იურიდიული პირების დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	1,397	1,404
სავაჭრო დებიტორული დავალიანება წყლის მრიცხველების დამონტაჟებისთვის	20	25
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ქსელთან მიერთების მომსახურებისთვის	153	138
	5,577	5,169
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(4,320)	(3,344)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	1,257	1,825
სხვა დებიტორული დავალიანებები	50	129
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(38)	(14)
სულ სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	12	115
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	1,269	1,940

¹ სხვა მოთხოვნები მოიცავს ქსელთან უკანონო მიერთების მისაღებ ჯარიმებს და სხვა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებს.

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს და გამოხატულია ლარში.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აღიარებული აქვს 50 ლარის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, რომელიც უკავშირდება შემოსავალს, რომელიც, თავის მხრივ, არ ექცევა ფასს (IFRS) 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოქმედების არეალში (2018 წ.: 129 ლარი), უმეტესად უკანონო მიერთების მომსახურებებზე დარიცხულ ჯარიმების დებიტორულ დავალიანებებს.

კომპანიას არ აქვს შიდა საკრედიტო შეფასების სისტემა მისი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხის შესაფასებლად და ის საკრედიტო რისკის შეფასებას ახორციელებს ვადაცადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანალიზი კლასების მიხედვით არის შემდეგი:

2019 წლის 31 დეკემბერი	სახელშეკრულებო აქტივები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	91 დღეზე მეტე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	8.12%	24.18%	43.14%	96.98%	77.45%
დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	153	667	234	91	51	4,430	5,627
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	-	19	22	22	4,296	4,358

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანალიზი კლასების მიხედვით არის შემდეგი:

2018 წლის 31 დეკემბერი	სახელშეკრულებო აქტივები	მიმდინარე	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	91 დღეზე მეტე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.00%	0.00%	2.34%	19.78%	36.28%	89.11%	63.38%
დეფოლტირებული საბალანსო ღირებულება	393	209	813	91	113	3,681	5,298
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	-	19	18	41	3,280	3,358

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში ცვლილება შემდეგია:

	<i>მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება</i>
2017 წლის 31 დეკემბერი	7,622
ფასს (IFRS) 9-ზე გადასვლის ეფექტი	404
ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	728
ჩამოწერილი უიმედო ვალები	(5,396)
2018 წლის 31 დეკემბერი	3,358
ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში	1,176
ჩამოწერილი უიმედო ვალები	(176)
2019 წლის 31 დეკემბერი	4,358

2019 და 2018 წლებში, კომპანიამ ჩამოწერა სამ წელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები. 2018 წელს უიმედო ვალის ჩამოწერის მიზეზი იყო სემეკი-ს მიერ სასმელი წყლის მიწოდებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ცვლილება, რომლის თანახმადაც მომხმარებლები გათავისუფლდნენ სამ წელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი თანხების გადახდის ვალდებულებისგან. ჩამოწერილი დებიტორული დავალიანებები ადრე სრულად იყო უზრუნველყოფილი.

8. კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას მთლიანად ჰქონდა გადახდილი 566 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი.

2019 წელს კომპანიის მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა ნაღდი ფორმით განაწილებული საწესდებო კაპიტალის 8,000 ლარით შემცირება.

დივიდენდები

2019 და 2018 წლების განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება და მშობელი კომპანიისთვის გადახდა.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი ასახავს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის თანხას, რომელიც გადაფასდა საინვესტიციო ქონებაში გადასვლის წერტილში.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ კომპანიის უნარის დაცვა, გააგრძელოს თავისი საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია დეტალურად აანალიზებს კაპიტალის სტრუქტურას, ნასესხები სახსრების ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის არსებული დონის გათვალისწინებით. კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

2019 და 2018 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. ნასესხები სახსრები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები მოიცავს ლარში გამოხატულ სესხს ქართული ფინანსური ინსტიტუტისგან 5,143 ლარის (2018 წ.: 5,432 ლარი) ოდენობით 5-წლიანი (2018 წ.: 6 წელი) დაფარვის ვადით, და სესხებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან 9,655 ლარის (2018 წ.: 8,300 ლარი) ოდენობით ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 16,94% დადგენილი დაფარვის თარიღის გარეშე (მე-18 შენიშვნა).

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ აქვს გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები.

კომპანია წარმოადგენს კონკრეტული უზრუნველყოფების საგანს, რომლებიც უკავშირდება მის ნასესხებ სახსრებს, როგორც არის სხვადასხვა ლიმიტების დაცვა ვალის EBITDA-სთან თანაფარდობის კოეფიციენტისთვის, კაპიტალური ინვესტიციებისათვის და სხვა. ამ პირობების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება კომპანიისთვის წარმოქმნას დეფოლტის მოვლენა, მათ შორის, სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტა და სესხის თანხის ან მისი ნაწილის დაკავება. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს.

2019 წლისა ან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო დაგირავებული აქტივები.

2019 წელს კომპანიამ გასწია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 2,028 ლარის (2018 წ.: 901 ლარი) ოდენობით, საიდანაც 195 ლარი კაპიტალიზებულ იქნა ძირითადი საშუალებების სახით (2018 წ.: 192 ლარი).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3,496
ფულადი შემოსავალი	10,500
გადახდილი ფულადი სახსრები	(563)
დარიცხული პროცენტი	901
გადახდილი პროცენტი	(602)
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	13,732
გადახდილი ფულადი სახსრები	(367)
დარიცხული პროცენტი	2,028
გადახდილი პროცენტი	(590)
სხვა	(5)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	14,798

10. სავაჭრო და სხვა დავალიანება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	4,587	3,036
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	636	594
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	17	30
სხვა კრედიტორული დავალიანება	76	62
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,316	3,722

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება პროცენტისა არ არის და, ჩვეულებრივ, 60 დღიან ვადაში იფარება.

11. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2019 წელს კომპანიამ 13,004 ლარი აღიარა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ამონაგებში (2018 წ.: 12,781 ლარი). მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის დაყოფა ტიპების მიხედვით წარმოდგენილია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, და მე-13 შენიშვნაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**სახელშეკრულებო ნაშთები**

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ნაშთები:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანება		
დებიტორული დავალიანება, რომლებიც შესულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	1,257	1,825
სულ	1,257	1,825
სახელშეკრულებო ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	226	261
გადავადებული შემოსავალი	1,349	1,392
სულ	1,575	1,653

კომპანიამ აღიარა 2019 წლის შემოსავალი 326 ლარის (2018 წ.: 282 ლარი) ოდენობით, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

ცვლილება დებიტორულ დავალიანებაში არ მოიცავს იურიდიული პირების მიერ გადახდის გადავადებით გამოწვეულ ზრდას მთლიან დებიტორულ დავალიანებებში და ზრდას მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში.

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ საკონტრაქტო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული და, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებულია:

	2020 წელს	2021 წელს	2022 წელს	3-დან 5 წლამდე პერიოდში	5-დან 10 წლამდე პერიოდში	სულ
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე	356	336	149	212	296	1,349

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ საკონტრაქტო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული და, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებულია:

	2019 წელს	2020 წელს	2021 წელს	3-დან 5 წლამდე პერიოდში	5-დან 10 წლამდე პერიოდში	სულ
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე	326	326	306	201	233	1,392

კომპანია იყენებს ფასს (IFRS) 15-ით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი საკონტრაქტო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. შემოსავალი წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან

	2019	2018 (რეკლასიფიცირებული)
იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	10,021	9,599
ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	2,641	2,872
სულ შემოსავალი წყალმომარაგებიდან, დაკავშირებული მომსახურებების ცვლილებების განხორციელებამდე	12,662	12,471
მიერთების მომსახურებების ცვლილებები	144	113
ცვლილებები წყლის მრიცხველების მონტაჟით გამოწვეული დარიცხვა	198	197
მთლიანი შემოსავალი წყალმომარაგებიდან და დაკავშირებული მომსახურებებიდან	13,004	12,781

13. პროფესიული გასამრჯელო

	2019	2018
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	89	234
იურიდიული და სხვა პროფესიული გასამრჯელოები	118	115
სულ პროფესიული გასამრჯელო	207	349

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგებისა და წლიური ანგარიშის აუდიტის საფასურმა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 79 ლარი (2018 წ.: 80 ლარი) შეადგინა.

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018 (გადაანგარიშებული)
ჩამდინარე წყლების დამუშავების ხარჯი	1,464	1,499
სადაზღვევო ხარჯი	80	91
ქვითრების გამოწერის ხარჯი	44	53
ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული წმინდა ზარალი	35	50
საიჯარო ხარჯი	4	59
სხვა ხარჯები	83	67
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,710	1,819

15. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2019	2018
სესხებზე საპროცენტო ხარჯები	1,828	709
საბანკო მომსახურების ღირებულება და საკომისიო	5	5
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები	1,833	714

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. პირობითი ვალდებულებები

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

17. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარე და არ არის გაუფასურებული.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, გარდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისა, კომპანიას არ ჰქონდა რამე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, რომლებიც არის ვადაგადაცილებული (მე-7 შენიშვნა).

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელთა სამართლიანი ღირებულება კომპანიას გაცხადებული აქვს 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომლის დროსაც გამოიყენება ღირებულების შეფასების მეთოდი ბაზრის ემპირიული და არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით. 2019 და 2018 წლებში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდში ცვლილებები არ მომხდარა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხების სამართლიანი ღირებულება (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე) ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებას, რომელიც 9,655 ლარს შეადგენს, 701 ლარით აღემატება (2018 წ.: ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების 8,300 ლარის საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას 2,221 ლარით აღემატება).

ხელმძღვანელობის შეფასებით, ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთების, სავაჭრო დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების და სხვა მიმდინარე ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს ძირითადად ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

17. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი**

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. კომპანიას აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები, რომლებიც მიზნულია სებ-ის რეფინანსირების განაკვეთებზე, ამიტომ მას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მგრძნობელობა შესაძლო გონივრული ცვლილების მიმართ:

<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა/კლება, % 2019</i>	<i>გავლენა მოგებაზე 2019</i>
ლარი	-2.00%	(101)
ლარი	2.00%	101

<i>ვალუტა</i>	<i>ზრდა/კლება, % 2018</i>	<i>გავლენა მოგებაზე 2018</i>
ლარი	0.75%	41
ლარი	-0.75%	(41)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული მთლიანი ფულადი სახსრებიდან 2,219 ლარის (2018 წ.: 920 ლარი) ოდენობით, 2,179 ლარი (2018 წ.: 892 ლარი) განთავსებული იყო Standard & Poor'-ის „BB-/bb-“ რეიტინგის, Moody's-ს „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC) და Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული „BB-/bb-“ რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა).

ყველა ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი, მუდმივად კონტროლდება, საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში, ხელმძღვანელობა კრედიტის ხარისხს აკონტროლებს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. 2018 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

17. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)***ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვის აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-3 წელი</i>	<i>3-5 წელი</i>	<i>5 წელზე მეტ</i>	<i>სულ</i>
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	924	1,850	4,914	9,655	17,343
სავაჭრო და სხვა დავალიანება	5,316	–	–	–	5,316
სულ მომავალი გადახდები	6,240	1,850	4,914	9,655	22,659
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	1,259	2,517	2,517	9,558	15,851
სავაჭრო და სხვა დავალიანება	3,722	–	–	–	3,722
სულ მომავალი გადახდები	4,981	2,517	2,517	9,558	19,573

18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ წევრებით 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა“.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
	მმართველი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	მმართველი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	–	47	–	78
გადახდილი ავანსები	–	61	–	33
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	–	8,300	–	–
ამონაგები სესხებიდან	–	–	–	8,000
დარიცხული პროცენტი	–	1,355	–	300
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	9,655	–	8,300
სავაჭრო და სხვა დავალიანება	1,001	3,480	851	2,013
მიღებული ავანსები	–	32	–	–
	2019 წლის 31 დეკემბერი		2018 წლის 31 დეკემბერი	
	ხელმძღვანელობა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	ხელმძღვანელობა კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
შემოსავალი და ხარჯები				
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	–	283	–	282
სხვა შემოსავალი	–	–	–	32
პროფესიული გასამრჯელო	(114)	–	(114)	–
საპროცენტო ხარჯები	–	(1,355)	–	(300)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2)	(1,447)	(16)	(1,502)

მმართველობითი მომსახურების ანაზღაურება 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეტანილია პროფესიული მომსახურების ანაზღაურებაში.

2019 და 2018 წლებში 'სხვა საოპერაციო ხარჯებსა' და 'სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში' შესულ 'სხვა დაკავშირებულ მხარეებში' გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების გადამუშავების ხარჯი.

2019 და 2018 წლებში სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში შესულ მმართველ კომპანიაში გათვალისწინებულია მოხმარებული ელექტროენერგიისა და პროფესიონალური ანაზღაურების დავალიანება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მშობელმა კომპანიამ განახორციელა დაგეგმილი დეოფშორიზაციის პროცესი, რომლის მიხედვითაც მშობელი კომპანიის საკუთრების სტრუქტურაში ცვლილება შევიდა. მშობელი კომპანია ჩაანაცვლა საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ სს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ჯორჯია კაპიტალი“. გარდა მშობელი კომპანიის სს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზის“ მიერ ჩაანაცვლებისა, კომპანიის სტრუქტურაში სხვა ცვლილება არ განხორციელებულა. თარიღში, როდესაც ნებადართული იყო წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“ ლიკვიდირებული იყო.

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. არსებობს პანდემიით გამოწვეული გლობალური შენელების მასშტაბების და ქართულ ეკონომიკაზე მისი გავლენის განსაზღვრასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა. პირველად COVID-19-ით ინფიცირების ფაქტი დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. საქართველოს მთავრობამ გაატარა კორონავირუსის გავრცელების შემაკავებელი რამდენიმე ღონისძიება, რომლებსაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა. ჯგუფი აკონტროლებს კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გავლენას მის საქმიანობაზე, კლიენტებსა და თანამშრომლებზე და იცავს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ყველა ოფიციალურ სახელმძღვანელო მითითებას, რათა დაიცვას თავისი ხალხი და უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტობა. მოსალოდნელია, რომ COVID-19-ის გავრცელებას საქართველოსა და გლობალურად უარყოფითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე, თუმცა ძალიან ადრეა იმისათვის, რომ სრულად გავიაზროთ ის გავლენა, რომელიც შესაძლოა ჰქონდეს ვირუსს კომპანიის საქმიანობაზე.

ამ განვითარებების პასუხად, 2020 წლის 1 აპრილს საქართველოს მთავრობამ გაახმაურა ეკონომიკის 3.5 მილიარდით მხარდაჭერის ინიციატივა. ინიციატივის პაკეტი სხვა ღონისძიებებთან ერთად მოიცავს 2020 წლის მარტი-მაისის წყალმომარაგების მომსახურებების ანაზღაურებას ხელისუფლების მიერ ფიზიკური პირების კონკრეტული კატეგორიის სახელით, რომლებიც წარმოადგენენ კომპანიის ფიზიკური პირი მომხმარებლების ბაზის უმეტესობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ, მოვლენად მიიჩნევს. მაგრამ კვლავ აფასებს მის გავლენას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მაჩვენებლებზე.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2020 წლის 27 მაისს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.



შპს „რუსთავის წყალი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა	1
1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	1
2. საოპერაციო გარემო	1
3. საქმიანობის მიმოხილვა.....	2
4. არაფინანსური მაჩვენებლები	2
5. ინვესტიციები.....	2
6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები	3
7. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი.....	3
8. სოციალური პასუხისმგებლობა.....	3
9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა	3
10. გარემოსდაცვითი საკითხები.....	4
11. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	4
12. თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა.....	4
13. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია.....	4

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „რუსთავის წყლის“ ხელმძღვანელობასა და მშობელ კომპანიას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 27 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ალექსეი ლოზა

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2020 წლის 25 სექტემბერი

საქმიანობის მიმოხილვა

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „რუსთავის წყალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 31 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რუსთავის რაიონული სასამართლოს მიერ (სარეგისტრაციო ნომრით 216323351).

შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“-სა (ყოფილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ბი-ვი-აი“) და საქართველოს მთავრობას შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული (2009 წლის 22 დეკემბერს შეცვლილი) წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოხდა კომპანიის პრივატიზება და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“-მ შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი, რომელსაც იმ დროისთვის ფლობდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ რუსთავისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, წმინდა ნინოს ქუჩა № 5.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი-ვი-აი“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“, შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი-ვი-აი“-ს 100%-იანი შვილობილი კომპანია, მართვის სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე. მათ შორის იმ რისკებთან, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სავალუტო კურსები მერყეობს და სასესხო და წილობრივი ინსტრუმენტების ბაზრები კარგად არ არის განვითარებული. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გაუმჯობესებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს უწყობს ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება, როგორცაა COVID-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური განუსაზღვრელობა.

3. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „რუსთავის წყალი“ ახორციელებს წყალმომარაგებისა და წყალარინების საქმიანობას ქალაქ რუსთავში, გარდაზნის ნაწილსა და მარნეულში, სადაც ის ემსახურება 149,349 ფიზიკურ და 2,776 იურიდიულ პირს. კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზე 260-მდე თანამშრომელი ზრუნავს.

„რუსთავის წყალი“ წყალსადენისა და წყალარინების ქსელებზე ეტაპობრივად ახორციელებს სარეაბილიტაციო და გეგმიურ პროფილაქტიკურ სამუშაოებს, ახდენს ავარიული დაზიანებების ლიკვიდაციას. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით წყალმომარაგების შეზღუდვაზე მოსახლეობა მუდმივად ინფორმირებულია.

რუსთავში წყალსადენის ქსელებზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების უდიდესი ნაწილი უკვე დასრულებულია. ქალაქის წყალმომარაგება უწყვეტად ხორციელდება. სრული დატვირთვით მუშაობს ხრამის სათავე ნაგებობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასმელი წყლის ხარისხს.

მუდმივად ტარდება ქ. რუსთავის მკვეზავი მაგისტრალური წყალსადენების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებით ქალაქის წყალმომარაგება გაცილებით სტაბილური და საიმედო გახდა. ასევე, დასრულდა „რუსთავის წყლის“ სათავე ნაგებობაზე ელექტრომეურნეობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები – დამონტაჟდა ახალი 6 კვ სიმძლავრის 1 კილომეტრიანი საჰარეო ხაზი. ასევე კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა არსებულ ელექტრო მოწყობილობებს რაც ხრამის სათავე ნაგებობისა და სატუმბო სადგურების საიმედო და უწყვეტ ელექტრომომარაგებას უზრუნველყოფს.

ახლიდან აღიჭურვა და გამართულად მუშაობს „რუსთავის წყლის“ ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც სასმელ წყალს უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებს.

„რუსთავის წყალმა“ მთლიანად განაახლა ბილინგისა და საინფორმაციო ბაზები და დააზუსტა მომხმარებელთა რაოდენობა. კომპანია მოსახლეობას დაგროვილი დავალიანებების შეღავათიანი რესტრუქტურისაგანის პროგრამასაც სთავაზობს.

4. არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „რუსთავის წყლის“ აბონენტებს 24 საათის მანძილზე მიეწოდებათ სასმელი წყალი ხრამის სათავე ნაგებობის მეშვეობით, 24 საათიანი წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება 370 კმ სიგრძის მქონე წყალსადენის ქსელი, 17 რეზერვუარი საერთო მოცულობით 42,600 მ³ და 6 სატუმბო სადგური.

2019 წლის განმავლობაში წყლის მოპოვება 35.1 მილიონ მ³-ს შეადგენდა. წყლის მოპოვება შემცირდა 2018 წლის მონაცემთან შედარებით, რაც გამოწვეულია დანაკარგების შემცირებით. სააღრიცხვო წლის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა ფარული ავარიების აღმოსაფხვრელად და მილსადენების რეაბილიტაციისთვის, რამაც შეამცირა დანაკარგები და, შესაბამისად, წყლის მოპოვება.

5. ინვესტიციები

2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა არსებული წყალმომარაგების და წყალარინების ქსელის რეაბილიტაციაში და ქსელის ახალ საზღვრებში განვითარებაში.

კომპანიამ განაახლა ამორტიზირებული/ავარიული ქსელები და ინფრასტრუქტურა, რათა უზრუნველყოფს აბონენტებისათვის სტაბილური, ხარისხიანი და უწყვეტი წყალმომარაგება; ასევე დაეზოგა ელექტროენერგია და შეემცირებინა წყლის დანაკარგი.

ქსელზე დაყენდა მრავალი ინფრასტრუქტურული ელემენტი, რომელიც აუმჯობესებს სისტემის ოპერირებას. მომხმარებლების ეფექტური და ხარისხიანი მომსახურებისთვის დაიხვეწა ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც კომპანიისთვის დამატებით ინვესტიციას წარმოადგენდა. ასევე, მოხდა უსაფრთხოების სისტემის აღჭურვილობის განახლება.

5. ინვესტიციები (გაგრძელება)

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ მსხვილი ინვესტიცია განახორციელა დიდ სარეაბილიტაციო პროექტებში, როგორებიცაა კოსტავას გამზირი და ლომოურის ქუჩა.

6. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

შპს „რუსთავის წყლის“ შემოსავლის ძირითადი წყარო არის წყლის მიწოდება რუსთავის საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო აბონენტებისათვის.

კომპანიის აქტივების 83%-ს შეადგენს ძირითადი საშუალებები 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლის ბალანსიც სტაბილურად იზრდება. კომპანია მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს ქსელის რეაბილიტაციაში ქალაქის ფარგლებში და ქსელის განვითარებაში გარეუბნებში. მაგალითად, 2018 წელთან შედარებით ძირითადი საშუალებები გაიზარდა 10%-ით.

2019 წლის მეორე ნახევარში კომპანიამ შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა ძირითად საშუალებებთან მიმართებით. კომპანიამ გამოიყენა თვითღირებულების მოდელი, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, კომპანია იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც ძირითადი საშუალებები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი. კომპანიას მიაჩნია, რომ თვითღირებულების მოდელი ინვესტირებისთვის უფრო სარწმუნოდ და გასაგებად წარმოადგენს ინფორმაციას, რადგან შედარების მეტ საშუალებას იძლევა. თვითღირებულების მოდელის გამოყენება კომუნალურ სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკაა და მისი გამოყენებით ბუღალტრული აღრიცხვა უფრო შესაბამისობაშია ამ კატეგორიის აქტივებთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობასთან.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღრიცხულია რეტროსპექტულად, კერძოდ, თვითღირებულების მოდელით მოხდა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის გადანაწილება წინა პერიოდებისთვის.

7. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი

ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე პასუხისმგებელი არის რეპორტირებისა და ბიუჯეტირების დეპარტამენტი. დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს არა მარტო კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების პრეზენტაცია, არამედ კომპანიის საქმიანობის, საოპერაციო გარემოსა და სააღრიცხვო პოლიტიკის აღწერაც. კომპანიის მხრიდან ფინანსურ ანგარიშგებას ადასტურებენ ფინანსური და გენერალური დირექტორები.

ფინანსური ანგარიშგება გადაეცემა გარე აუდიტის წარმომადგენლებს დასადასტურებლად, რომლებიც ფინანსური წლის დახურვის შემდეგ ახორციელებენ კომპანიის პროცედურების, დოკუმენტაციისა და ფინანსური მაჩვენებლების შემოწმებას.

8. სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც შპს "რუსთავის წყლის" უშუალო საქმიანობას უკავშირდება, რუსთავის მოსახლეობისთვის, საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კომერციული სექტორისთვის საიმედო კომუნალური მომსახურების გაწევა, მათი სტაბილური წყალმომარაგება და მათთვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდებაა.

9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „რუსთავის წყალი“ აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. კომპანია ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ

9. კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა (გაგრძელება)

მხარეებს (კლიენტებს, აქციონერებს, თანამშრომლებს, კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

თავისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანია უსასყიდლოდ აწვდის სასმელ წყალს რუსთავში არსებულ მოხუცებულთა თავშესაფარს.

10. გარემოსდაცვითი საკითხები

კომპანიაში დასაქმებულთა ჯანდაცვა და უსაფრთხოება მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ამიტომ, კომპანიის ადმინისტრაცია ცდილობს მაქსიმალურად განავითაროს შრომის უსაფრთხოების კულტურა და მოაგვაროს უწყვეტ რეჟიმში საქმიანობის შედეგად წამოჭრილი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხი.

„რუსთავის წყალმა“ ასევე დანერგა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS). პროცესი 2016 წელს კომპანიის მიერ მიღებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ჩარჩოში მოცემული გრაფიკის შესაბამისად განხორციელდა. ESMS შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების სტანდარტებს (გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო წყლისა და სანიტაციისთვის). დაინერგა ESMS-ის ფარგლებში შემუშავებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის გეგმები და პროცედურები. პროცესები ხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტანდარტების საფუძველზე. 2021 წლიდან იგეგმება „რუსთავის წყლის“ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ISO14000: 2015 სტანდარტის მოპოვების პროცესის დაწყება.

11. კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

შპს „რუსთავის წყალი“ დიდ ყურადღებას უთმობს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. სწორედ ამიტომ, კომპანიამ თანამშრომლებისთვის პროფესიული გადამზადების არაერთი კურსი ჩაატარა. ტრენინგების შედეგია ის, რომ თანამშრომლებმა შეძლეს ცოდნის გაღრმავება და მოახერხეს იმ უნარების გაუმჯობესება, რაც დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

შპს „რუსთავის წყლის“ ადმინისტრაცია თანამშრომელთა გადამზადებით ქმნის პროფესიონალ კადრებს, რომელთა დახმარებით სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავს.

12. თანამშრომელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა

ტექნიკური პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კომპანიას აქვს ევროსტანდარტების შესაბამისი ფრანგული და იაპონური წარმოების კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი საშუალებები: საგზაო ბარიერები, ნიშნები და კონუსები, მზის აკუმულატორები, სახანძრო სტენდები ინვენტარით, ელექტრო უსაფრთხოების პლაკატები და ნიშნები აირ-ანალიზატორები ჭებში მომუშავე პერსონალისთვის. კომპანიის ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალება და ობიექტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების ავთიაქებით.

13. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია


2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კომპანია აკვირდება, რამდენად აისახება კორონავირუსის (COVID-19)

13. კორონავირუსის (COVID-19) პანდემია (გაგრძელება)

გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ კორონავირუსი გავლენას მოახდენს წყლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე, თუმცა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არანაირი კორექტირება არ განხორციელებულა კომპანიის ფინანსურ უწყისებში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს:



ირაკლი ბაბუხაძია

გენერალური დირექტორი